141 3220

...მეთის
...ნიციპალიტე
ტი

## საგადახდო მოთხოვნა # 01749

(დადასტურებული ხაზინაში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახაზინო კოდი | 03 05 | დასახელება | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | | |
| ვალდებულების # | 0582 | მოთხოვნის საფუძველი | მიღება-ჩაბარების აქტი_195_03/12/2018_; | | |
| საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | 31.1.1.5 | თანხა ლარებში | 1,000.00 | თანხა სიტყვით | ათასი ლარი |
| განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | | | | 229324451 | |
| დასახელება | თვითმმართველი თემი - დუშეთის მუნიციპალიტეტი | | | | |
| მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი | | | 400204373 | | |
| დასახელება | შპს შპს კაკკას როუდი | | | | |
| მიმღების ბანკის კოდი | | | TBCBGE22 | | |
| დასახელება | ქ.თბილისი, სს "თიბისი ბანკის" სათაო ბანკი | | | | |
| ანგარიშის # | GE35TB7624336050100002 | | საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი | | |
| გადახდის დანიშნულება | | სხვა - სტიქიის შედეგად დაზიანებ. გუდამაყარში ს. მაქართა_ღუთხუბის გზის რეაბილიტაცია (მ/წ ხარჯი) საპრ. სახარჯთ. დოკუმენტ. დამზადება | | | |

| | | |
|---|---|---|
| *მოთხოვნის დამატება:* | მარიამ ოქროპირიძე | 05/12/2018 17:11 |
| *მოთხოვნის დამოწმება:* | ნაირა ნარიმიშვილი | 05/12/2018 20:59 |
| *მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში:* | ნაირა ნარიმიშვილი | 05/12/2018 20:59 |
| *მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:* | დავით შაბურიშვილი | 12/12/2018 15:34 |
| *მოთხოვნის მიღება:* | ინდირა ლორია | 12/12/2018 17:16 |
| *ბანკში გაგზავნა:* | | 12/12/2018 17:23 |

12/12/2018

ტრანზაქცია
განხორციელებულია

შპს „მშენ-ექსპერტი“ - LTD „BUILD-EXPERT“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის.: ქ. თბილისი, მიროტაძის ქუჩა №1, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 200266559

საქ GAC

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC –IB-0121

---

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0121
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-415/09/18-I415/9-1
გაცემის თარიღი: "06" 11 2018 წელი
ინსპექტირების თარიღი: 11.10÷06.11.2018 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:
დუშეთის მუნიციპალიტეტი, გუდამაყრის
ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის
გზის რეაბილიტაციის პროექტი

ვამტკიცებ

დირექტორი, პროფესორი ____________ მ. წიქარიშვილი

# ინსპექტირების ანგარიში
# (ექსპერტიზის დასკვნა)

---

| | |
|---|---|
| **დამკვეთის იდენტიფიკაცია:** | დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია; ს/კ 229324451<br>მერი: ზურაბ სეხნიაშვილი |
| **ანგარიშის შედგენის საფუძველი:** | განაცხადი №415/09/18-I415 (18.09.2018 წ)<br>ხელშეკრულება №247 (31.08.2017 წ)<br>წერილი №30 (11.10.2018) |
| **აკრედიტაციის სფერო:** | პროექტის საგზაო ნაწილის ინსპექტირება |
| **ინსპექტირების ამოცანა:** | დუშეთის მუნიციპალიტეტი, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის ინსპექტირება. |

თბილისი

2018 წელი

# შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები . . . . . . . . . . 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები . . . . . . . . . . 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები . . . . . . . . . . 3
4. კვლევითი ნაწილი . . . . . . . . . . 4
5. დასკვნა . . . . . . . . . . 6

## ინსპექტირების შემსრულებლები

*ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.*

ინსპექტორი: ***მანუჩარ შიშინაშვილი***

## წარმოდგენილი მასალები

1. დუშეთის მუნიციპალიტეტი, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია.

## გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

- საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტუქტურული მოთხოვნები";
- სამშენებლო ნორმები და წესები – Автомобильные дороги - СНиП 2.05.02-85;
- B-E – TP-G05/17 – ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

# კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტი, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის საგზაო ნაწილი, დამუშავებული შპს „კავკას როუდი"-ს მიერ (დირექტორი ვ. ლაცაბიძე), დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან 2018 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №196 ხელშეკრულების საფუძველზე.

- მიწის ვაკისის სიგანე - 4.5 მ;
- სავალი ნაწილის სიგანე- 4.5 მ;
- სავალი ზოლის სიგანე - 2.25 მ.

სარეაბილიტაციო მონაკვეთის სიგრძე - 5.42 კმ:

- I მონაკვეთი - 0.660 კმ (პკ 0+00 – პკ 6+60);
- II მონაკვეთი - 0.840 კმ (პკ 6+60 – პკ 15+00);
- III მონაკვეთი - 2.200 კმ (პკ 15+00 – პკ 37+00);
- IV მონაკვეთი - 1.020 კმ (პკ 37+00 – პკ 47+20);
- V მონაკვეთი - 0.300 კმ (პკ 47+20 – პკ 50+20).

პროექტი წარმოდგენილია განმარტებითი ბარათის, უწყისების და გრაფიკული მასალის სახით.

*წარმოდგენილი პროექტი გაკორექტირებული იქნა 2018 წლის 22 ოქტომბრის №FT-415/09/18-1415/9 შუალედური ანგარიშის მიხედვით, რომელშიც აღნიშნული იყო თავდაპირველ ინსპექტირებაზე წარმოდგენილი პროექტის მიმართ შემდეგი შენიშვნები:*

1. განმარტებით ბარათში არაა საუბარი არსებული ხიდების მდგომარეობაზე;
2. მეორე და მეოთხე მონაკვეთებზე გზა იხრეშება სხვადასხვა წრთქით, ხოლო მოცემული ერთი ტიპის საგზაო სამოსის ნახაზი;
3. სამოსის მოწყობის უწყისში გვხვდება ერთი ტიპის კონსტრუქცია, განმარტებითში მოცემულია ორი ტიპი;

4. მოცემულია ეზოებში შესასვლელებზე ლითონის მილების მოწყობის უწყისი, ხოლო საფარის მოწყობის სამუშაოები პროექტში არ არის;
5. პროექტში არაა მოცემული ინფორმაცია ადგილობრივ მიერთებებზე;
6. გეგმაზე არსებულ და საპროექტო მილებზე უნდა იქნას მითითებული პიკეტაჟი, ტიპი და სიგრძე;
7. არსებულ მილებზე მოცემული ინფორმაციით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, მაგრამ შესაძლებელია ისინი გასაწმენდი იყოს დანალექი გრუნტისაგან;
8. გზის გადამკვეთი მილების დიამეტრი უნდა იყოს არანაკლებ ერთი მეტრისა;
9. წარმოდგენილი ინდივიდუალური საგზაო ნიშნები არ შეესაბამება გაფორმების შესაბამის ნორმებს (ასოებს შორის და ასოების ზომები და სხვა).

*ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები გათვალისწინებული იქნა პროექტის ავტორების მიერ და წარმოდგენილია შენიშვნების მიხედვით გაკორექტირებული პროექტი. წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.*

*დანართი – პროექტი თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.*

# დასკვნა

დუშეთის მუნიციპალიტეტი, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის საგზაო ნაწილი ძირითადად პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია განხორციელებისათვის.

იხ. კვლევითი ნაწილი.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

***ინსპექტორი:*** ***/მ. შიშინაშვილი/***

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

***ტექნიკური მენეჯერი:*** ***/გ. ჩუბინიძე/***

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

***ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი:*** ***/მ. წიქარიშვილი/***

საჯ GAC

საჯ GAC

# სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"

## აკრედიტაციის მოწმობა

## GAC-IB-0121

ადასტურებს, რომ

## შპს „მშენ-ექსპერტი"-ს

## A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, მიროტაძის ქ. #1, ბინა #4

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

## სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

**აკრედიტებულია შემდეგ სფეროში:** 1. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; 2. ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის შემოწმება); 3. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; 4. ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; 5. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობების, ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის შემდეგ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება, მათ შორის: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა; კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ელ. მომარაგება, სუსტი დენები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; არქიტექტურული ნაწილი; **დამატებით სფეროს აკრედიტაცია:** 6. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის [illegible] ინსპექტირება;
(იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო")

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
14 აგვისტო 2017 წ.

ძალაშია
01 აპრილი 2020 წ.

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო" THE NATIONAL ACCREDITATION BODY OF GEORGIA საჯ GAC 205189217

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42ა

შპს „მშენ-ექსპერტი“ - LTD „BUILD-EXPERT“

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, მიროტბაძის ქუჩა №1, ბინა №4

ტელ: (+995) 595-95-25-22

ს/კ 200266559

საქ GAC

სატ ისო/იეკ 17020:2012/2013

GAC-IB-0121

"22" ნოემბერი 2018 წ.

№670/11-2018

*დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის*

*მოვალეობის შემსრულებელს*

*ბატონ გიორგი თანიაშვილს*

ბატონო გიორგი,

2018 წლის 19 ნოემბრის თქვენს მიერ გამოგზავნილ წერილში №09/26942 აღნიშნულია, რომ გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ მაქართა-ლუთისუბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციიდან გამომდინარე არის შეუძლებელი და ითხოვდით ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენას გზის ძირითად სამუშაოებზე. გაცნობებთ, რომ შპს „მშენ-ექსპერტი“-ს სპეციალისტები ეთანხმებიან აღნიშნული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაყოფას ეტაპების მიხედვით.

პატივისცემით,

შპს „მშენ-ექსპერტი“-ს

ხელმძღვანელი: წიქარიშვილი

შპს „მშენ-ექსპერტი“ - LTD „BUILD-EXPERT“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის.: ქ. თბილისი, მიროტაძის ქუჩა №1, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 200266559

საქ GAC

საქ ისო/იეკ 17020:2012/2013

GAC -IB-0121

---

აკრედიტაციის მოწმობის №: GAC-IB-0121

ინსპექტირების ანგარიშის №: FT-415/09/18-I415/9-2

გაცემის თარიღი: "26" 11 2018 წელი

ინსპექტირების თარიღი: 11.10.2018÷06.11.2018 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:
ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, საერთო ღირებულებით 262 126,53 ლარი დღგ-ს ჩათვლით

ვამტკიცებ

დირექტორი, პროფესორი ______________

# ინსპექტირების ანგარიში

მ. წი[illegible]შვილი

## (ექსპერტიზის დასკვნა)

---

**დამკვეთის იდენტიფიკაცია:** დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია; ს/კ 229324451

მერი: ზურაბ სეხნიაშვილი

**ანგარიშის შედგენის საფუძველი:** განაცხადი №415/09/18-I415 (18.09.2018 წ)

ხელშეკრულება №247 (31.08.2017 წ)

წერილი №30 (11.10.2018)

**აკრედიტაციის სფერო:** ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება.

**ინსპექტირების ამოცანა:** ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება (ღირებულებით 262 126,53 ლარი დღგ-ს ჩათვლით) დღგ-სა და ნორმატიული დანარიცხების გათვალისწინებით.

თბილისი

2018 წელი

# შემადგენლობა


1. ინსპექტირების შემსრულებლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები . . . . . . . . . . . . . . . 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები . . . . . . . . . . . . . . . . 3
4. კვლევითი ნაწილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4
5. დასკვნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6
6. დანართები

    დანართი №1 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7

    დანართი №2 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 21

## ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები, ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებულნი და პასუხისმგებელნი არიან ინსპექტირება აწარმოონ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩაატარონ კვლევა და დაიცვან ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობა.

ინსპექტორი: *დავით თუშიშვილი*

## წარმოდგენილი მასალები

1. ხარჯთაღრიცხვა – 13 ფურცლად;

## გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

- სამშენებლო ნორმები და წესები IV-2-84 ტ. I-II
- ერთიანი ნორმები და ფასები (ЕниР)
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება №55.
- სამშენებლო რესურსების ფასები 2018 წლის III კვარტლის დონეზე
- B-E-TP-G06/16 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

# კვლევითი ნაწილი

წარმოდგენილი განცხადების თანახმად დამკვეთის დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოთხოვნილია ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება, რომლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 262 126,53 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ნორმატიული დანარიცხების გათვალისწინებით.

კვლევითი სამუშაოების ჩატარებისას ინსპექტორი ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 და №52 დადგენილებებით.

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა მთლიანობაში შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა დაცვით და 2018 წლის III კვარტლის დონეზე არსებული სამშენებლო რესურსების შესაბამისად. ხარჯთაღრიცხვის მონაცემების (მასალათა ხარჯის ნორმების, შრომითი და მანქანა მექანიზმების მომსახურებების ღირებულებები) გადამოწმებისას ინსპექტორი ხელმძღვანელობდა სამშენებლო ნორმებისა და წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების შესაბამისად, იშვიათ შემთხვევაში კი დღეის მდგომარეობით (შრომის) ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები გათვალისწინებული იქნა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ერთეულ მასალათა და მანქანა-მექანიზმების მომსახურების ღირებულებები შედარებული და გაკორექტირებული იქნა 2018 წლის III კვარტლის დონეზე არსებული სამშენებლო რესურსების ფასებთან.

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის, სამშენებლო ნორმატიული ლიტერატურის და სამშენებლო რესურსების ფასების ურთიერთ შედარების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ღირებულება, ინსპექტირების შედეგად ნაცვლად 262 126,53 ლარისა შეადგენს 260 724,07 ლარს დღგ-სა და სხვა დანარიცხების გათვალიწინებით. ხარჯთაღრიცხვის ფასის კორექტირება გამოწვეულია მანქანამექანიზმებზე განფასების ცვლილებების და მასალათა ფასის დაკორექტირების შედეგად. აღნიშნული ცვლილებები ცხრილში მოცემულია ყვითელი ფერით.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაზღვრავს მშენებლობის წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გადახდის საშუალებას. სამუშაოების ჩატარების პერიოდში სამუშაოთა მოცულობები დაზუსტებული უნდა იქნას ფაქტიურად

შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად. ერთეული ღირებულებები სამუშაოების დასრულებისას გაკორექტირებული უნდა იქნას შრომითი ხელშეკრულებების, ანგარიშ-ფაქტურებისა და საბაჟო დეკლარაციების (მასალები) მიხედვით, ასევე სატრანსპორტო მომსახურების და საიჯარო (ამწე, მანქანა-მექანიზმები, ხარაჩოები) ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად.

*დანართი №1 – ინსპექტირების შედეგად გაკორექტირებული ხარჯთაღრიცხვა (13 ფურცელი).*

*დანართი №2 – დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა (13 ფურცელი).*

# დასკვნა

გამოკვლევის შედეგად დადგინდა:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო საბაზრო ღირებულებას ინსპექტირების შედეგად თანხით 260 724,07 (ორასსამოცი ათას შვიდასოცდაოთხი ლარი და 07 თეთრი) ლარის ოდენობით, ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად ნორმატიული დანარიცხების გათვალისწინებით, დღგ-სა და გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით. ნაცვლად წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 262 126,53 ლარისა დღგ-ს და სხვა ნორმატიული დანარიცხების გათვალისწინებით.

იხ: კვლევითი ნაწილი.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

***ინსპექტორი:*** *[signature]* */დ. თუშიშვილი/*

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

***ტექნიკური მენეჯერი:*** */ნ. ქიტიაშვილი/* *[signature]*

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

***ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი:*** *[signature]* */მ. წიქარიშვილი/*

[stamp]

№195

# შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. დუშეთი 03-დეკემბერი-2018 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის №1399/ს ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული საპროექტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების მიზნით თანამშრომელთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

ა)იოსებ ღარიბაშვილი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ)ვლადიმერ კობაიძე - ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი, ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;

გ)მიხეილ ზაქარიაშვილი - არქიტექტურულ- სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ჯგუფის წევრი;

2018 წლის 11 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის №196 ხელშეკრულების შესაბამისად შპს „კავკას როუდი"-ს დირექტორის მინდობილმა პირმა გიორგი ჩირგაძემ შეასრულა დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მაქართა-ლუთხუბის გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელსაც გავლილი აქვს ექსპერტიზა აკრედიტირებული შპს „მშენ ექსპერტის" ინსპექტირების ანგარიში (ექსპერტიზის დასკვნა) (N: FT-415/09/18-I415/9-1 06.11.2018 წ., N: FT-415/09/18-I415/9-2 06.11.2018 წ.). წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება შეადგენს 1000 (ერთიათასი) ლარს.

აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ვიზუალურად იქნა დათვალიერებული, აკრედიტირებული შპს „მშენ ექსპერტის" ინსპექტირების ანგარიშის (ექსპერტიზის დასკვნის) საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის №1399/ს ბრძანებით შექმნილი დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული საპროექტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების მიზნით თანამშრომელთა ჯგუფის მიერ.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

ჩავიბარე:

/ი. ღარიბაშვილი/

/ვ. კობაიძე/

/მ. ზაქარიაშვილი/

ჩავაბარე:

შპს „კავკას როუდი"-ს დირექტორის მინდობილი პირი /გიორგი ჩირგაძე/

GEORGIA 400204373